## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

# ოქმი N08

**30 ივნისი 2021 წელი**

**ქ. ბაღდათი**

**12:00 საათი**

2021 წლის 30 ივნისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე,** ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ ბინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე, მაია კბილაშვილი, თეონა ფახურიძე, მაკა მესხი, თორნიკე გაჩეჩილაძე, ვლადიმერ წიქორიძე, გიორგი რობაქიძე, შალვა დათუაძე, გვანცა გრძელიძე, გურამი კიკნაველიძე, რუსუდან გეწაძე, ზაზა ზივზივაძე, გაბრიელ ღიბრაძე .

სულ: 25 საკრებულოს წევრი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** ალექსი ლომინაშვილი, ირაკლი გოგსაძე, დიომიდე კიკნაველიძე

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

**მუნიციპალიტეტის მერიიდან:**

**არჩილ გოგსაძე - მუნიციპალიტეტის მერი**

**ლერი გუმბერიძე**-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

**მირიან ფულარიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

**თინა აბულაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

**საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.**

**ნათია ცისკაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

**ირინე აბაიშვილი**- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

**საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე.**

**საქართველოში მოქმედი ტელეარხის (მთავარი, TVპირველი, იმედი) ჟურნალისტები და ოპერატორები**

**სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.**

**რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 წევრმა.**

**სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.**

**შ. მშვილდაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

## დღის წესრიგი

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი, სიმონ ჭოლოკავა საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

3.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ბაღდათის მუნიციპალიტეტში საოჯახო მარნებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის“ საპროექტო იდეის წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. თინა აბულაძე მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;

4.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლმუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორებისთვის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარების “ საპროექტო იდეის წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. თინა აბულაძე მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

5.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მოწყობის“ საპროექტო იდეის წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. თინა აბულაძე მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

**დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.**

**მომხრე - 25 წინააღმდეგი - 0**

**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**საკითხის განხილვის დასაწყისში სხდომის თავმჯდომარემ შალვა მშვილდაძემ** საკრებულოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო საკრებულოს ბიუროს წინადადება საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ბიუროს წევრების წინადადებაა საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებული იქნეს სოფელ ვარციხეში

საკადასტრო კოდზე მდებარე 36522 კვ.მ მიწის ნაკვეთი და გაგრძელდეს კონსულტაციები სოფლის მოსახლეობასთან მისი შემდგომი განკარგვის მიზნით.

**მუნიციპალიტეტის მერმა** საკრებულოს სხდომას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი ბრძანებით სოფელ ვარციხეში აღნიშნულ საკადასტრო კოდზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან გამოიყო 15000 კვ.მ სტადიონისათვის და დასმულია საკითხი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიწის კატეგორიის შეცვლაზე. დარჩენილი საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ა. გოგსაძემ მზადყოფნა გამოთქვა მოსახლეობასთან კონსულტაციებისათვის.
**აზრი გამოთქვეს: გიორგი რობაქიძემ, ვლადიმერ წიქორიძემ.**

**საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა საკრებულოს სხდომას გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**
**მირიან ფულარიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი, მან აღნიშნულის გათვალისწინებით სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა საპრივატიზაციო ნუსხა დანარჩენ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც მოცემული იყო ნუსხის დანართში, **რასაც მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა საკრებულოს წევრმა, გამონაკლისი იყო როხის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი თორნიკე გაჩეჩილაძე.**

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 42 (განკარგულება:გ-67.67211811) 30.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე-24 წინააღმდეგი- 1 (თორნიკე გაჩეჩილაძე)**
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ
**პრივატიზაციის გეგმის პროექტი სხდომაზე წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.**

**საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**
**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 43 (განკარგულება:გ-67.67211812) 30.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე-24 წინააღმდეგი- 1 (თორნიკე გაჩეჩილაძე)**
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ბაღდათის მუნიციპალიტეტში საოჯახო მარნებთან

მისასვლელი გზის რეაბილიტაციის“ საპროექტო იდეის წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ.

**საგრანტო წინადადებებზე ინფორმაცია სხდომაზე წარმოადგინა:** თინა აბულაძემ- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

**საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 44 (განკარგულება:გ-67.67211813) 30.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე-18 წინააღმდეგი- 0**
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლმუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორებისთვის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარების “ საპროექტო იდეის წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ.
**საგრანტო წინადადება წარმოადგინა: თინა აბულაძემ.**

**საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 45 (განკარგულება:გ-67.67211814) 30.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე-18 წინააღმდეგი- 0**
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მოწყობის“ საპროექტო იდეის წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ
**საგრანტო წინადადება წარმოადგინა: თინა აბულაძემ.**

**საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 46 (განკარგულება:გ-67.67211815) 30.06.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე-18 წინააღმდეგი- 0**
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.**

**სხდომის თავმჯდომარე:** **შალვა მშვილდაძე**